საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №120/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 1 ივლისის №120 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 12 ივლისის №312/120-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით შეწყდა დისციპლინური სამართლწარმოება გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების ნაწილში.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე -- -- ერთი და იგივე დავის საგანზე საქმე განიხილა ორჯერ და მიიღო მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისგან განსხვავებული გადაწყვეტილება, კერძოდ, საჩივრის ავტორი თვლის, რომ მოსამართლე -- -- საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებით უგულებელყო -- სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება, ასევე თავისი მიღებული 2015 წლის 16 ნოემბრის განჩინებისგან განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო 2017 წლის 31 მარტს.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2013 წლის 21 ნოემბერს შპს -- და შპს -- სარჩელით მიმართეს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე -- სააღსრულებო ბიუროს მიმართ, შპს --- და შპს -- -ისათვის გადაწყვეტილების აღსრულების წინადადების შესახებ, -- სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებულ №-- საქმეზე, აღმასრულებლის მიერ 2013 წლის 25 ოქტომბერს განხორციელებული №-- და №-- მოქმედებების გაუქმების, აღნიშნული სააღსრულებო წარმოების შეწყვეტისა და კრედიტორებისათვის სააღსრულებო ფურცლის დაბრუნების მოთხოვნით.

მოსარჩელე შპს -- იშუამდგომლა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, დავის დასრულების ვადით, №-- სააღსრულებო საქმეზე აღსრულების შეჩერების შესახებ.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2013 წლის 22 ნოემბრის

განჩინებით, შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

2015 წლის 4 ნოემბერს შპს -- და შპს -- წარმომადგენლებმა განცხადებით მომართეს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით და მოითხოვეს სსიპ -- -- წარმოებაში არსებულ №-- სააღსრულებო საქმეზე მოქმედებათა განხორციელების შეჩერება და აღსრულების გაგრძელების აკრძალვა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2015 წლის 16 ნოემბრის განჩინებით, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ სასამართლოს უკვე ნამსჯელი აქვს №-- სააღსრულებო საქმეზე აღსრულების შეჩერების მოთხოვნასთან დაკავშირებით, იმავე საფუძვლით, რის გამოც განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დარჩა განუხილველი.

2015 წლის 7 დეკემბერს მოსარჩელეთა წარმომადგენლებმა საჩივრით მიმართეს სასამართლოს, რომლითაც მოითხოვეს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ნოემბრის განჩინების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებით მოთხოვნილი ღონისძიების გატარება.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2016 წლის 29 თებერვლის განჩინებით, შპს -- და შპს -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ნოემბრის განჩინება.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით, შპს -- და შპს -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და უკანონოდ იქნა ცნობილი აღმასრულებლის მიერ 2013 წლის 25 ოქტომბერს განხორციელებული №-- და №-- მოქმედებები, შპს -- და შპს -- გადაწყვეტილების შესრულების წინადადების შესახებ. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის (თავმჯდომარე, მოსამართლე - --, მოსამართლეები - -- --, -- --) 2018 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით, სსიპ -- --, -- -- (მესამე პირი), -- -- და -- -- სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, შპს -- --, შპს -- -- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ნაწილობრივ გაუქმდა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება, --, შპს -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კრედიტორებს დაუბრუნდეთ -- -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 22 თებერვალს გაცემული №-- სააღსრულებო ფურცელი, შპს -- და შპს -- სარჩელი სსიპ -- -- წარმოებაში არსებული №-- სააღსრულებო საქმის წარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა და დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 2 სექტემბრის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 1 ივლისის №120 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა

სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ბანგალორის პრინციპების პირველი ღირებულების მიხედვით სასამართლოს დამოუკიდებლობა არის კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის წინაპირობა და სამართლიანი სასამართლო განხილვის ძირითადი გარანტია. ბანგალორის პრინციპების 1.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს თავისი სამოსამართლო ფუნქცია დამოუკიდებლად, მხოლოდ ფაქტების შეფასების საფუძველზე, სამართლის შეგნებული გაცნობიერების შესატყვისად და ყოველგვარი გარეშე ზემოქმედების, წაქეზების, იძულების, მუქარის ან პირდაპირი თუ ირიბი ჩარევის გარეშე, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის და რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს; ამავე პრინციპის 1.2. მუხლის თანახმად მოსამართლეს დამოუკიდებელი პოზიცია უკავია მთლიანად საზოგადოებისა და იმ სასამართლო საქმის კონკრეტული მხარეების მიმართ, რომელზეც გადაწყვეტილება გამოაქვს; ხოლო 2.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე.

მნიშვნელოვანია რომ მოსამართლეებმა ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად დაიცვან და პატივი სცენ იმ ნდობას რომლითაც საზოგადოება ეკიდება მოსამართლის ოფისს და იზრუნონ სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის ასამაღლებლად და შესანარჩუნებლად. მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების უმთავრეს პრინციპს და შესაბამისად, მოსამართლის უზენაეს ვალდებულებას.

მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული. მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის ფორმას - აღქმას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი – დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა სარჩელი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ინტერპრეტაციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლება ასევე გულისხმობს კანონის ერთგვაროვან გამოყენებას. განსხვავებული ინტერპრეტაცია - როგორც სასამართლო სისტემის დამახასიათებელი თავისებურება - დასაშვებია.

საჩივრის ავტორი თვლის, რომ მოსამართლე -- -- საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებით უგულებელყო -- სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება, რაც გაურკვეველია, ვინაიდან 2016 წლის 29 თებერვალს სააპელაციო სასამართლომ განიხილა საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებაზე განცხადების განუხილველად დატოვებასთან დაკავშირებით, რომელი განჩინებაც მოსამართლე -- -- მიიღო, ხოლო 2017 წლის 31 მარტს მოსამართლე -- -- საქმეზე მიიღო არსებითი გადაწყვეტილება. ამასთან, საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ მოსამართლე -- -- მის მიერ მიღებულ 2015 წლის 16 ნოემბრის განჩინებისგან განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო 2017 წლის 31 მარტს - მოსამართლე -- -- 2015 წლის 16 ნოემბრის განჩინება იყო სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებაზე განცხადების განუხილველად დატოვებასთან დაკავშირებით, ხოლო

2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება - პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.

საქმის მასალების დეტალური შესწავლის შედეგად, საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება, მოსამართლე -- -- მიერ ერთი იგივე დავის საგანზე საქმის ორჯერ განხილვის და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, არ დადასტურდა. ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად არ გამოიკვეთა 2019 წლის 1 ივლისის №120 საჩივარში მითითებული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით განსაზღვრული რომელიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №120/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი